ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4822054156**
თარიღი: **23/02/2022**
პინი: **3697**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მრავალმილიონიანმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა ქალაქი წყალტუბო მიმზიდველი გახადა ტურისტებისთვის, ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

ქალაქ - კურორტის ცენტრალურ პარკში და ე.წ ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე სისტემურად ეწყობა ხელისმოწერის, ჯვრისწერისა და დაბადების დღის აღმნიშვნელი ღონისძიებები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებით ტერიტორიის გამოყენება გახდეს ფასიანი და აღნიშნული ცერემონიალის გამართვისათვის დაწესდეს საფასური 100 (ასი) ლარის ოდენობით.

გიგზავნით ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ" განკარგულების პროექტს.

,, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" 2020 წლის 18 თებერვლის N 31 601 ბრძანებით დამტკიცებული ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' წესდების მე-2 მუხლის თანახმად ცენტრალური პარკისა და ცივი ტბის ტერიტორიის მოვლა - პატრონობა ევალება ,, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას.” აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება დაევალოს აღნიშნულ ა(ა)იპს.

გთხოვთ, განიხილოთ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ“ განკარგულების პროექტი და პროექტის დამტკიცების შემდეგ, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N 42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად მოგვცეთ თანხმობა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების წესდებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ - კერძოდ კი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების წესდების მე-2 მუხლის (,,ფ“ ქვეპუნქტი გარდაიქმნას ,,ღ“ ქვეპუნქტად და ,,ფ“ ქვეპუნქტში განისაზღვროს ახალი ფუნქცია) ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ:

,, მუხლი 2. **გაერთიანების მიზნები, ამოცანები და ფუნქციები**

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების “ მიზნები და ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა. კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა–მოწესრიგება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლის ქსელის, სანიაღვრე არხების გაწმენდა, მოვლა-პატრონობა და მათი სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

გ) ქუჩების დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება, ნაგვის შემკრები ბუნკერების დაცლა და შეგროვება, ნარჩენების გატანა სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელზე;

დ) ტერიტორიული ერთეულებისა და სოფლების ტერიტორიის დასუფთავება;

ე) ქალაქსა და საამისოდ განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსება და მათი დეზინფექცია შესაბამისი წესების დაცვით;

ვ) ქუჩების სეზონური მორწყვა;

ზ) წყალარინების სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა,ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა–პატრონობა;

თ) ქუჩების, გაზონების კეთილმოწყობა და პირუტყვისაგან დაცვა;

ი) ხიდებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობა;

კ) სკვერების და პარკების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა, ავარიული,

სანიტარული და დეკორატიული ჭრის უზრუნველყოფა, შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობა, დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, პარკებში გაზონებსა და სკვერებში ყვავილების დარგვა და მოვლა;

ლ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა;

მ) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. გზების პროფილის აღდგენითი და თოვლის, სტიქიური მოვლენის დროს გზის საფარის გაწმენდითი სამუშოების განხორციელება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა–პატრონობა;

ო) ღონისძიებების გატარება (მათ შორის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა) კეთილმოწყობითი ობიექტების დაცვის, მოვლა-შენახვის უზრუნველსაყოფად;

პ) გარე განათების, დეკორატიული განათების, მხატვრული მინათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჭირო შემთხვევაში მწყობრიდან გამოსული ქსელების აღდგენითი, აგრეთვე ახალი ქსელების მოწყობითი სამუშოების განხორციელება;

ჟ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა და ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენა;

რ) გარემოსა და ბუნებათსარგებლობის, მრავალფეროვნების, გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის (ნერგის) გამოყვანის უზრუნველყოფა, საკუთარი და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის და მათი რეალიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ს) გაერთიანების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად ავტოსატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებების შეძენის, მათი მოვლის, შენახვისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა;

ტ) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, კორესპონდენციის, საჩივრებისა და მიმართვების განხილვა;

უ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის შემდეგ მიღება- ჩაბარების აქტების გაფორმება;

ფ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის (ხელისმოწერა, ჯვრისწერა, დაბადების დღე) გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, მომსახურეობის საფასურის გადამხდელებთან (ცერემონიალის მომწყობი ორგანიზაცია, იურიდიული ან ფიზიკურ პირი) ხელშეკრულებების გაფორმება, კანონით დადგენილი წესით;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.''

დანართი ,,1" ფურცლად.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

ქ. წყალტუბო -- თებერვალი 2022 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

1. დაწესდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის (ხელისმოწერა, ჯვრისწერა, დაბადების დღე) გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასური 100 (ასი) ლარის ოდენობით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა: მ. მამ მ. მამისეიშვილი

შეთანხმებულია: ვ. ნადარეიშვილი